სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება
№41

ქ. თბილისი

12 თებერვალი 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – „შემსყიდველი") თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი სამანიშვილის სახით და მეორე მხრივ, ა(ა)იპ „ქართული ღვინო" (შემდგომში – „მიმწოდებელი") წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის თინათინ კეზელის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (მე-10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი), „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №77 განკარგულების თანახმად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამა: ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები) მიმდინარე წლის 15-17 მარტს, გერმანიაში, ქ. დუსელდორფში გასამათი ყოველწლიური გამოფენა „ProWein 2015"-ის ფარგლებში, ქართული მხარის მონაწილეობის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა ამ ხელშეკრულებისა და დანართი №1-ის შესაბამისად (კლასიფიკატორის CPV-79952000 კოდი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. დანართი №1 თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: 2015 წლის 15 მარტიდან - 2015 წლის 17 მარტის ჩათვლით.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: გერმანია, ქ. დუსელდორფი (Messe Düsseldorf GmbH, Stockumer Kirchstr. 61 40474 Düsseldorf Germany).

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 187 319.1(ას ოთხმოცდაშვიდი ათას სამას ცხრამეტი ლარი **და ათი თეთრი) ლარს.**

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელსაც თავის მხრივ უფლება აქვს არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე. ფასების ცვლილება საჭიროებს ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით დადასტურებას.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი უზრუნველყოს საგამოფენო ფართითა და სტენდით;

ბ) გამოფენის ფორმატის შესაბამისად „შემსყიდველთან" შეთანხმებით, უზრუნველყოს საგამოფენო სტენდისა და ქართული კუთხის მოწყობა;

გ) შეათანხმოს ,,შემსყიდველთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დეტალები მომსახურების განხორციელების ყველა ეტაპზე;

დ) ,,შემსყიდველთან" შეთანხმებით უზრუნველყოს გამოფენის შესახებ ღვინის სპეციალისტების ინფორმირება და მათ გამოფენაში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება;

ე) უზრუნველყოს გამოფენაზე წარსადგენი ქართული ნატურალური ღვინის ნიმუშების საგამოფენო სივრცეში განთავსება;

ვ) ,,შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მას ინფორმაცია მომსახურების განხორციელების შესახებ;

ზ) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

თ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

ბ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება;

გ) დროულად მიაწოდოს მიმწოდებელს შესაბამისი ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით:

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს შემსყიდველისგან მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშერკულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და გამოფენის ფარგლებში დადგენილ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს ამ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ არასათანადო მომსახურების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მომსახურების (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) მომსახურების ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოება, რაც აფერხებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შემაფერხებელი ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ (უმოკლეს) ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, გადაწყვეტილება ფორმდება ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის სახით, ამ ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების მე–3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 % (ათ პროცენტს), შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.4 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელს მიაწოდოს დადგენილ გონივრულ ვადაში მოთხოვნილი ინფორმაცია (მათ შორის თანხმობა ან უარი მომსახურების გარკვეული დეტალის შესახებ), მიმოწოდებლის მიერ მოთხოვნილ ფორმატში. ასეთი ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, იმ კონკრეტული სამუშაოს/მოქმედების შესრულებისათვის, რომლის შესრულებისათვისაც მას ესაჭიროებოდა მოთხოვნილი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ წინასწარ გაუთვალისწინებელ მიზეზთა გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 12 თებერვლიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 მაისის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნიშემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი აქვთ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით,ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.4. თუ ხელშერკულების შეწყვეტის საფუძველი გახდა ფორს–მაჟორული გარემოებები, შემსყიდველი მიმწოდებელს უნაზრაურებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეულ ხარჯებს, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო	**ა(ა)იპ „ქართული ღვინო“**
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლი	აღმასრულებელი დირექტორი
გიორგი სამანიშვილი	თინათინ კეზელი
ს/კ 204446965 **იურიდ. მის.:** ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6, **ფაქტ. მის.:** ქ. თბილისი, მ. გელოვანის №6. **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი **ბ.კ.** TRESGE22; **ა/ა** 200122900 **ტელ.:** 297 41 03	**იურიდ. მის.:** ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. №2. **ს/კ** 400004277 **საბანკო რეკვიზიტები:** „თი ბი სი“ ბანკი **ბანკის კოდი** TBCBGE22 **ანგარიშის №** GE62TB7055136080100006

გიორგი სამანიშვილი **თინათინ კეზელი**

დანართი № 1

	აღწერილობა	ფასი (ლარი)
№	**გამოფენის ორგანიზება**	
1	საგამოფენო ფართით უზრუნველყოფა (ქირავნობა)	107669.1
2	საგამოფენო სტენდისა და ქართული კუთხის მოწყობა	79650
	ჯამი (დღგ-ს ჩათვლით):	187319.1

შემსყიდველი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლი

გიორგი სამანიშვილი

ს/კ 204446965
იურიდ. მის.: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6,
ფაქტ. მის.: ქ. თბილისი, მ. გელოვანის №6.
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი **ბ.კ.** TRESGE22; **ა/ა** 200122900
ტელ.: 297 41 03

მიმწოდებელი

ა(ა)იპ „ქართული ღვინო"

აღმასრულებელი დირექტორი

თინათინ კეზელი

იურიდ. მის.: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. №2.
ს/კ 400004277
საბანკო რეკვიზიტები: „თი ბი სი" ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგარიშის № GE62TB7055136080100006

გიორგი სამანიშვილი

თინათინ კეზელი